უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშის შესახებ დასკვნა

საერთაშორისო ურთიერთობები და სამხედრო დიპლომატია

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

მეორე საფეხური

სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია

17.07.2026

დასკვნის მომზადების მიზანი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფისთვის, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით გათვალისწინებული რეკომენდაციების ან/და რჩევების საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შესრულების შეფასება.

ანგარიშის შეფასების პრინციპები

წარმოდგენილი ანგარიში უნდა შეფასდეს შემდეგი პრინციპების დაცვით

- ანგარიშის შევსების სისწორისა და თანდართული დოკუმენტაციის შესაბამისობის შეფასება
- აკრედიტაციის პროცესის შედეგად აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში ასახული რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის შესწავლა
- საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღებისას გამოკვეთილი და შესრულებული რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის შესწავლა
- საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის შესრულებისთვის შერჩეული მეთოდების/მიდგომებისა და შედეგების შეფასება
- რეკომენდაცი(ებ)ისა ან/და რჩევ(ებ)ის შესრულების დამადასტურებელი მტკიცებულებების შეფასება
- ანგარიშის შესწავლის შედეგების ფორმირება

ექსპერტი

სახელი ---------თინათინ----------

გვარი ----------ქაროსანიძე----------

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	218083222

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება[1]	საერთაშორისო ურთიერთობები და სამხედრო დიპლომატია
2	უმაღლესი განათლების საფეხური	მეორე საფეხური
3	კვალიფიკაციის დონე[2]	მე-7 დონე
4	კვალიფიკაციის დასახელება	საერთაშორისო ურთიერთობების მაგისტრი
5	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით[3]	
6	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)[4]	0312 პოლიტიკის მეცნიერებები და მოქალაქეობრიობის საფუძვლები
7	სწავლების ენა	ქართული
8	ECTS კრედიტების რაოდენობა	123
9	განხორციელების ადგილი[5]	საქართველო, 1400, გორი, ცხინვალის გზატკეცილი, მე-3 კმ
10	საგანმანათლებლო პროგრამის სტატუსი-აკრედიტაცია შესაბამისი საბჭოს ბოლო გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	აკრედიტებული 22.07.2025 MES 8 25 0000902582
11	გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი	08.07.2025

[1] დასახელება შინაარსობრივად შეესაბამება დეტალურ სწავლის სფეროს
[2] ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიხედვით
[3] მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში
[4] განათლების საერთაშორისო სტანდარტული კლასიფიკატორი ((ISCED – F – 2013)
[5] ქვეყანა, საფოსტო ინდექსი, ქალაქი/მუნიციპალიტეტი, ქუჩა, ქუჩის ნომერი

12	საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის წარმოსადგენად განსაზღვრული ვადა, თარიღი	1 წელი, 08.07.2026
13	აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი	31.12.2028

საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შეფასება საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების მიხედვით

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა		X		
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	X			
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	X			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	X			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	X			

შესასრულებელი რეკომენდაცი(ებ)ი[6]

1. რეკომენდებულია, რომ პროგრამის მიზნები თავიდან გადაიხედოს, რათა მკაფიოდ და ზუსტად ჩამოყალიბდეს, რა ტიპის ცოდნის გადაცემას, უნარებისა და ტრანსფერული კომპეტენციის განვითარებას უწყობს პროგრამა ხელს და შეესაბამება რეალურ სტრუქტურას. მიზნებში ასევე უნდა გამოიკვეთოს პროგრამის განსაკუთრებული ღირებულება და მკაფიოდ აღინიშნოს მისი ინტერნაციონალიზაციის ასპექტი.
2. რეკომენდებულია, რომ საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები ასახავდეს მხოლოდ იმ ასპექტებს, რომლებიც წარმოდგენილია სავალდებულო კომპონენტის კურსებში, როგორც ამას ითხოვს ეროვნული რეგულაციები.
3. რეკომენდებულია, რომ კურსი "დიპლომატიის ისტორია" გადავიდეს არჩევით კომპონენტში და შეიცვალოს ისეთი კურსით, რომელიც მოიცავს დიპლომატიის თეორიულ საფუძვლებთან დაკავშირებულ რამდენიმე თემას და შემდგომ ვრცლად სამხედრო დიპლომატიის სპეციფიკას.
4. რეკომენდებულია, რომ სავალდებულო კომპონენტის ზოგიერთი ძირითადი კურსი განისაზღვროს მასთან თემატურად დაკავშირებული არჩევითი კურსების წინაპირობად.
5. რეკომენდებულია, გადაიხედოს სასწავლო კურსების ლიტერატურა, განსაკუთრებით "საქართველოს საგარეო პოლიტიკა", "ევროკავშირის საგარეო პოლიტიკა", "საგარეო პოლიტიკის ანალიზი" სილაბუსებში განახლდეს მაღალი აკადემიური სტანდარტის, თანამედროვე წყაროებით. სილაბუსებში წარმოდგენილი უნდა იყოს უახლესი სახელმძღვანელოები და შესაბამისი ინსტიტუციური დოკუმენტები.
6. რეკომენდებულია, მოხდეს კურსის "ეთიკა და ღირებულებები საერთაშორისო ურთიერთობებში" გადახედვა და გაძლიერება უფრო მკაფიო კონცეპტუალური ფოკუსით, საერთაშორისო ურთიერთობების ზოგად თეორიასთან გადაფარვის, თანმიმდევრულობისა და აკადემიური შესაბამისობის მიმართულებით.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშისა და რეკომენდაციების გათვალისწინების შესახებ ინფორმაცია[7]

სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას 2025 წლის 22 ივლისს, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით, მიენიჭა

---

[6] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული რეკომენდაციების რაოდენობის გათვალისწინებით

[7] საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ანგარიშის წარმოდგენის თარიღი, საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული ანგარიშის წარმოდგენის ვადა, რეკომენდაციების ან/და რჩევების გათვალისწინების პროცესში ჩართული პირების, შერჩეული მეთოდების/მიდგომების აღწერა და საბოლოოდ მიღწეული შედეგები, საჭიროებისამებრ, დამატებით სხვა ინფორმაცია.

აკრედიტაცია კლასტერის ვადით 2028 წლის 31 დეკემბრამდე. საბჭომ გასცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლების შესრულების შესახებ ანგარიშის წარდგენის ვადად 2026 წლის 8 ივლისი განისაზღვრა.

სსიპ - ხარისხის განვითარების ცენტრში „საერთაშორისო ურთიერთობები და სამხედრო დიპლომატია“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის თაობაზე სააკრედიტაციო განაცხადის საფუძველზე, 2025 წლის 22 აპრილს სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნულ თავდაცვის აკადემიას ეწვია ექსპერტთა ჯგუფი. ექსპერტების ჯგუფის მეირ წარმოდგენილი შეფასების, არსებული დოკუმენტაციისა და ზეპირი მოსმების შემდეგ საბჭომ გასცა 6 რეკომენდაცია და 6 რჩევა. საბჭოს გადაწყვეტილებით, „საერთაშორისო ურთიერთობებისა და დიპლომატიის“ საგანმანათლებლო სამაგისტრო პროგრამა I სტანდარტთან (საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა) „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, ხოლო სრულად შესაბამისობაშია შემდეგ სტანდარტებთან: II (სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება), III (სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა), IV (სწავლების რესურსების უზრუნველყოფა), V (სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები).

დასკვნაში წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების მიზნით, ეროვნული თავდაცვის აკადემიამ დაიწყო რეკომენდაციების შესწავლისა და ცვლილებების განხორციელების პროცესი. კერძოდ, „საერთაშორისო ურთიერთობებისა და დიპლომატიის“ საგანმანათლებლო სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელმა და აკადემიურმა პერსონალმა შეისწავლა გაცემული რეკომენდაციები, განახლებული პროგრამა წარედგინა ჯერ მაგისტრატურის საბჭოს, შემდეგ კი - ეროვნული თავდაცვის აკადემიის აკადემიურ საბჭოს. აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით, დამტკიცდა პროგრამაში განხორციელებული ცვლილებები.

წარმოდგენილი ანგარიშის მიხედვით, აკადემიურმა საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება სამაგისტრო პროგრამის სახელწოდების შეცვლის შესახებ და 2026 წლის 9 თებერვლის გადაწყვეტილებით (N5656 დადგენილება), „საერთაშორისო ურთიერთობებისა და დიპლომატიის“ საგანმანათლებლო სამაგისტრო პროგრამას დაერქვა „საერთაშორისო ურთიერთობები და სამხედრო დიპლომატია“. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სახელწოდების ცვლილების მიუხედავად, მისანიჭებელი კვალიფიკაცია - საერთაშორისო ურთიერთობების მაგისტრი - უცვლელად დარჩა.

აღნიშნული ცვლილება, რომელიც აკადემიამ პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით განახორციელა, აცნობეს სსიპ - განათლების ხარისხის ეროვნულ ცენტრს წერილით (MOD 5 26 00165966, თარიღი: 9/02/2026).

სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის ეროვნული თავდაცვის აკადემიის მეთაურის 2026 წლის 29 აპრილის ბრძანებით (N0591), „საერთაშორისო ურთიერთობების და

სამხედრო დიპლომატიის“ საგანმანათლებლო სამაგისტრო პროგრამაზე საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების მიზნით, შეიქმნა სამუშაო ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით: აკადემიის მეთაურის მოადგილე, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი და ექსპერტები, მაგისტრატურის ხელმძღვანელი და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ექსპერტი, პროგრამის ხელმძღვანელი, პროფესორი და ასოცირებული პროფესორი, პროგრამის მსმენელი.

სამუშაო ჯგუფმა მუშაობა დაიწყო 2026 წლის 1 მაისს, შუალედური შეხვედრა 2026 წლის 8 ივნისს გაიმართა, ხოლო სამუშაოს დასრულების შემდეგ მიღებული შედეგები და რეკომენდაციების შესრულების შესახებ საბოლოო ანგარიში აკადემიის მეთაურს წარედგინა.

წარმოდგენილი ანგარიშის მიხედვით, სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის ეროვნულმა თავდაცვის აკადემიამ გაითვალისწინა 6 რეკომენდაცია და განახორციელა შესაბამისი ცვლილებები პროგრამაში.

ეროვნული თავდაცვის აკადემიის მიერ წარმოდგენილი ანგარიშისა და დოკუმენტაციის საფუძველზე ექვსივე რეკომენდაცია შესრულებულად შეიძლება ჩაითვალოს.

რჩევ(ებ)ი[8]

1. სასურველია, რომ სწავლების შედეგები უფრო მკაფიოდ დაჯგუფდეს.
2. სასურველია, საგანმანათლებლო პროგრამის არჩევით ნაწილს დაემატოს უცხო ენების კურსები.
3. სასურველია, პროგრამის სტრუქტურაში გარკვეული ფორმით ინტეგრირდეს პრაქტიკული კომპონენტი.
4. სასურველია, პროგრამის განხორციელებაში ჩაერთოს აკადემიური/მოწვეული პერსონალი, რომელსაც აქვს გამოცდილება სამხედრო დიპლომატიის მიმართულებით, რათა წვლილი შეიტანონ „საერთაშორისო ურთიერთობების და დიპლომატიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში.
5. სასურველია, პროგრამის ფარგლებში იკითხებოდეს ცალკე კურსი ან არებითად ინტეგრირდეს ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული საკითხები არსებულ მოდელებში, როგორიცაა „საერთაშორისო ორგანიზაციები“ და „ეთიკა საერთაშორისო ურთიერთობებში“.
6. სასურველი და მნიშვნელოვნად სასარგებლო იქნება სასწავლო გეგმის პრაქტიკული კომპონენტის გაძლიერება.

[8] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული რჩევების რაოდენობის გათვალისწინებით (რჩევების გათვალისწინება არ არის სავალდებულო)

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშისა და რჩევების გათვალისწინების შესახებ ინფორმაცია[9]

რჩევების ნაწილში უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად იმისა, რომ რჩევების შესრულება არ არის სავალდებულო ნაწილი, სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის გორის თავდაცვის ეროვნულმა აკადემიამ წარმოდგენილი რჩევებიდან ნაწილი გაითვალისწინა და შესაბამისი ცვლილებები განახორციელა ამ რჩევების შესასრულებლად.

რჩევა: „სასურველია, საგანმანათლებლო პროგრამის არჩევით ნაწილს დაემატოს უცხო ენების კურსები" არ იქნა გათვალისწინებული აკადემიის მიერ.

რჩევა: "პროგრამის ფარგლებში იკითხებოდეს ცალკე კურსი ან არსებითად ინტეგრირდეს ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული საკითხები არსებულ მოდელებში, როგორიცაა „საერთაშორისო ორგანიზაციები" და „ეთიკა საერთაშორისო ურთიერთობებში" არ იქნა გაზიარებული აკადემიის მიერ.

რჩევები: „სასურველი და მნიშვნელოვნად სასარგებლო იქნება სასწავლო გეგმის პრაქტიკული კომპონენტის გაძლიერება" და „სასურველია, პროგრამის სტრუქტურაში გარკვეული ფორმით ინტეგრირდეს პრაქტიკული კომპონენტი" არ იქნა გაზიარებული აკადემიის მიერ იმ მოსაზრებით, რომ პროგრამის მსმენელთა დიდი ნაწილი დასაქმებულია სახელმწიფო უწყებებში, სადაც შეუძლიათ მიღებული თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება. ასევე, აკადემიის მხრიდან, პრაქტიკული კომპონენტის ნაწილად მოწვეული სტუმრის პროექტია დასახელებული.

დამატებითი ინფორმაცია[10]

რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის გათვალისწინების შესახებ[11]

---

[9] საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ანგარიშის წარმოდგენის თარიღი, საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული ანგარიშის წარმოდგენის ვადა, რეკომენდაციების ან/და რჩევების გათვალისწინების პროცესში ჩართული პირების, შერჩეული მეთოდების/მიდგომების აღწერა და საბოლოოდ მიღწეული შედეგები, საჭიროებისამებრ, დამატებით სხვა ინფორმაცია.

[10] საგანმანათლებლო დაწესებულების გადაწყვეტილებით, საჭიროების შემთხვევაში

სტანდარტის დასახელება	1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა
კომპონენტის დასახელება	1.1 პროგრამის მიზნები
რეკომენდაცია I[12]	რეკომენდებულია, რომ პროგრამის მიზნები თავიდან გადაიხედოს, რა ტიპის ცოდნის გადაცემას, უნარებისა და ტრანსფერული კომპეტენციების განვითარებას უწყობს პროგრამა ხელს და შეესაბამებოდეს მის რეალურ სტრუქტურას. მიზნებში ასევე უნდა გამოიკვეთოს პროგრამის განსაკუთრებული ღირებულება და მკაფიოდ აღინიშნოს მისი ინტერნაციონალიზაციის ასპექტი.
შეფასება	რეკომენდაციის შესრულების მიზნით, სამუშაო ჯგუფმა გადახედა საგანმანათლებლო სამაგისტრო პროგრამის მიზნებს და უფრო ნათლად წარმოაჩინა ისინი. ანგარიშში აღნიშნულია, რომ ცვლილებების შედეგად, გამოიკვეთა პროგრამის განსაკუთრებული ღირებულება და ინტერნაციონალიზაციის ასპექტი. პროგრამის მიზნებს დაემატა ჩანაწერი: “როგორც ადგილობრივი, ასევე საერთაშორისო აუდიტორიის წინაშე ძირეული და მიმდინარე პრობლემატიკის პროფესიულ დონეზე განსახილველად”. აღსანიშნავია, რომ პროგრამის სახელის ცვლილებამაც “საერთაშორისო ურთიერთობები და სამხედრო დიპლომატია”) მისი მიზნები უფრო გამოკვეთა და ნათელი გახადა. შესაბამისად, წარმოდგენილი ანგარიშისა და შესაბამისი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად, რეკომენდაცია შესრულებულია.
რჩევა[13] I	-
შეფასება	-
მტკიცებულებ(ები)ა	✓ საგანმანათლებლო სამაგისტრო პროგრამა ✓ ბრძანება სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ ✓ აკადემიური საბჭოს ოქმი ✓ მაგისტრატურის საბჭოს სხდომის ოქმი ✓ სამაგისტრო პროგრამის კურიკულუმი

[11] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული რეკომენდაციების ან/და რჩევების რაოდენობის გათვალისწინებით

[12] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)

[13] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)

სტანდარტის დასახელება	1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა
კომპონენტის დასახელება	1.2 სწავლის შედეგები
რეკომენდაცია II	რეკომენდებულია, რომ საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები ასახავდეს მხოლოდ იმ ასპექტებს, რომლებიც წარმოდგენილია სავალდებულო კომპონენტის კურსებში, როგორც ამას ითხოვს ეროვნული რეგულაციები.
შეფასება	წარმოდგენილი დოკუმენტაცია ადასტურებს იმ მოცემულობას, რომ საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგებში განხორციელდა ცვლილებები და განახლებული შედეგები მხოლოდ სავალდებულო კომპონენტის სასწავლო კურსების სწავლის შედეგებს ასახავს ეროვნული რეგულაციების შესაბამისად. შესაბამისად, აღნიშნული რეკომენდაცია შესრულებულია.
რჩევა I	სასურველია, რომ სწავლის შედეგები უფრო მკაფიოდ დაჯგუფდეს.
შეფასება	რჩევა შესრულდა სწავლის შედეგებთან დაკავშირებული რეკომენდაციის შესრულების პროცესში, როდესაც პროგრამაში ზუსტად განისაზღვრა სავალდებულო სასწავლო კომპონენტით გათვალისწინებული შედეგები.
მტკიცებულებ(ები)ა	✓ საგანმანათლებლო სამაგისტრო პროგრამა ✓ სასწავლო კურსების სილაბუსები

სტანდარტის დასახელება	1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა
კომპონენტის დასახელება	1.4 საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი
რეკომენდაცია III	რეკომენდებულია, რომ კურსი "დიპლომატიის ისტორია" გადავიდეს არჩევით კომპონენტში და შეიცვალოს ისეთი კურსით, რომელიც მოიცავს დიპლომატიის თეორიულ საფუძვლებთან დაკავშირებულ რამდენიმე თემას და შემდგომ ვრცლად სამხედრო დიპლომატიის სპეციფიკას.
შეფასება	ეროვნული თავდაცვის აკადემიის გადაწყვეტილებით, სასწავლო კურსი „დიპლომატიის ისტორია", რეკომენდაციის შესაბამისად, არჩევით სასწავლო კომპონენტში გადავიდა. ამასთანავე, პროგრამაში

	რამდენიმე ცვლილება განხორციელდა, რომლებიც პროგრამის სახელის ცვლილებას დაუკავშირდა და სამხედრო დიპლომატიის კომპონენტი გაძლიერდა. კერძოდ, სავალდებულო სასწავლო კომპონენტს დაემატა სასწავლო კურსი: „სამხედრო დიპლომატიის როლი სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკასა და უსაფრთხოებაში“. ასევე, პროგრამას დაემატა ახალი სასწავლო კურსი: „სამხედრო მზადყოფნა: კონცეფციები, არჩევანი, შედეგები“. შესაბამისად, რეკომენდაცია შესრულებულია.
რჩევა II	სასურველია, რომ საგანამანათლებლო პროგრამის არჩევით ნაწილს დაემატოს უცხო ენები.
შეფასება	აკადემიამ აღნიშნული რჩევა არ გაითვალისწინა.
მტკიცებულებ(ები)ა	✓ საგანმანათლებლო სამაგისტრო პროგრამა ✓ სასწავლო კურსების სილაბუსები ✓ აკადემიური საბჭოს დადგენილება ✓ სამაგისტრო პროგრამის კურიკულუმი

სტანდარტის დასახელება	1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა
კომპონენტის დასახელება	1.4 საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი
რეკომენდაცია IV	რეკომენდებულია, რომ სავალდებულო კომპონენტის ზოგიერთი ძირითადი კურსი განისაზღვროს მასთან თემატურად დაკავშირებული არჩევითი კურსების წინაპირობად.
შეფასება	რეკომენდაციის შესაბამისად, პროგრამაში განისაზღვრა სავალდებულო კომპონენტის ძირითადი კურსებისა და არჩევითი კურსების წინაპირობები. ასე რომ სასწავლო კურსებისთვის: “საქართველოს საგარეო პოლიტიკა”, “აშშ-ს საგარეო პოლიტიკა და უსაფრთხოება”, “ჩინეთის საგარეო პოლიტიკა”, “რუსეთის საგარეო პოლიტიკა და უსაფრთხოება” წინაპირობად განისაზღვრა სასწავლო კურსი: “საგარეო პოლიტიკის ანალიზი”. სასწავლო კურსის “ეკონომიკური უსაფრთხოება” წინაპირობად განისაზღვრა სასწავლო კურსი “ეროვნული უსაფრთხოება და თავდაცვა”. შესაბამისად, რეკომენდაცია შესრულებულია.
რჩევა II	სასურველია პროგრამის სტრუქტურაში ინტეგრირდეს პრაქტიკული კომპონენტი, გარკვეული ფორმით.
შეფასება	აკადემიის მიერ რჩევა არ იქნა გათვალისწინებული იმ მოსაზრებით, რომ საგანმანათლებლო სამაგისტრო

	პროგრამის მსმენელთა დიდი ნაწილი დასაქმებულია სახელმწიფო სტრუქტურებში და შეუძლიათ, მიღებული თეორიული ცოდნა პრაქტიკაში გამოიყენონ. ასევე, პრაქტიკულ ნაწილს შეადგენს მოწვეული სტუმრის პროექტი, რომელიც გულისხმობს მაღალი რანგის თანამდებობის პირებთან რეგულარულ შეხვედრებს.
მტკიცებულებ(ები)ა	✓ სასწავლო კურსების სილაბუსები ✓ საგანმანათლებლო სამაგისტრო პროგრამა ✓ სამაგისტრო პროგრამის კურიკულუმი

სტანდარტის დასახელება	1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა
კომპონენტის დასახელება	1.5 სასწავლო კურსი/საგანი
რეკომენდაცია V	რეკომენდებულია, გადაიხედოს სასწავლო კურსების ლიტერატურა, განსაკუთრებით "საქართველოს საგარეო პოლიტიკა", "ევროკავშირის საგარეო პოლიტიკა", "საგარეო პოლიტიკის ანალიზი" სილაბუსებში განახლდეს მაღალი აკადემიური სტანდარტის, თანამედროვე წყაროებით. სილაბუსებში წარმოდგენილი უნდა იყოს უახლესი სახელმძღვანელოები და შესაბამისი ინსტიტუციური დოკუმენტები.
შეფასება	რეკომენდაციის შესაბამისად, აღნიშნულ სასწავლო კურსებში განახლდა ლიტერატურა და დაემატა შესაბამისი ინსტიტუციების დოკუმენტები. სასწავლო კურსებს: "საქართველოს საგარეო პოლიტიკა", "საგარეო პოლიტიკის ანალიზი", "ევროკავშირის საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკა" დაემატა ახალი სახელმძღვანელო: მახაშვილი ლ., ხომერიკი დ., სამხარაძე ნ., *ევროკავშირის პოლიტიკა,* ევროპის უნივერსიტეტი, "დანი", თბილისი, 2015. სასწავლო კურსში "ევროკავშირის საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკა" ლიტერატურა განახლდა ევროკავშირის ოფიციალური ვებგვერდითა და შესაბამისი წყაროებით თუ ევროკომისიის პოლიტიკური დოკუმენტებით. სასწავლო კურსს "საქართველოს საგარეო პოლიტიკა" ასევე დაემატა Kavadze A., Foreign Policy of Contemporary Georgia, Favorite, Tbilisi, 2020. მართალია, აღნიშნული ლიტერატურა და შესაბამისი პოლიტიკური დოკუმენტები განახლებულ

	ინფორმაციას მიაწვდის მსმენელს, თუმცა რჩევის სახით, უმჯობესი იქნებოდა სამ სასწავლო კურსზე ერთი და იგივე სახელმძღვანელო *(ევროკავშირის პოლიტიკა)* არ გამოიყენებოდეს და უფრო მრავალფეროვანი ახალი მასალა იყოს შეთავაზებული. აღნიშნული ცვლილებების გათვალისწინებით, რეკომენდაცია შეიძლება შესრულებლად ჩაითვალოს.
რჩევა[14] II	სასურველია, პროგრამის ფარგლებში იკითხებოდეს ცალკე კურსი ან არსებითად ინტეგრირდეს ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული საკითხები არსებულ მოდულებში, როგორიცაა "საერთაშორისო ორგანიზაციები" და "ეთიკა საერთაშორისო ურთერთობებში".
შეფასება	აკადემიამ რჩევა არ გაითვალისწინა.
მტკიცებულებ(ები)ა	✓ სასწავლო კურსების სილაბუსები ✓ საგანმანათლებლო სამაგისტრო პროგრამა

სტანდარტის დასახელება	1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა
კომპონენტის დასახელება	1.5 სასწავლო კურსი/საგანი
რეკომენდაცია VI	რეკომენდებულია, მოხდეს კურსის "ეთიკა და ღირებულებები საერთაშორისო ურთიერთობებში" გადახედვა და გაძლიერება უფრო მკაფიო კონცეპტუალური ფოკუსით, საერთაშორისო ურთიერთობების ზოგად თეორიასთან გადაფარვის, თანმიმდევრულობისა და აკადემიური შესაბამისობის მიმართულებით.
შეფასება	სასწავლო კურსში "ეთიკა და ღირებულებები საერთაშორისო ურთიერთობებში" განხორციელდა რამდენიმე ცვლილება: შეიაცავალა მე-5 ("დრონების ომი და ეთიკური დილემები" ჩანაცვლდა "ჰუმანიტარული ინტერვენციის ეთიკური დილემებით") და მე-12 ("კლიმატის ცვლილება და გლობალური მართვა" შეიცვალა თემით: "რელიგია, ღირებულებები და საერთაშორისო ურთიერთობები") კვირების თემატიკა, რის გამოც კურსს დაემატა ლიტერატურა (Nukhet, A.S., Patrick J., „Religion and International Relations Theory: Towards a mutual undesrtanding", European Journal of International

[14] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)

	Relations, 2010). აღნიშნული დამატებული ლიტერატურა, რომელიც ანგარიშში ძირითად სახელმძღვანელოდაა დასახელებული, სტატიაა და შეიძლება ითქვას, ცოტა მოძველებულია. ამ სფეროში უფრო ახალი მონოგრაფიების თუ პუბლიკაციების გამოყენებაა შესაძლებელი. ასევე, ამავე სასწავლო კურსის თემებს დაემატა კონტექსტი „ეთიკისა და ღირებულებების ჭრილში“. სასწავლო კურსი „ჩრდილოატლანტიკური უსაფრთხოების ისტორია და არქიტექტურა“ სავალდებულო სასწავლო კომპონენტიდან გადავიდა არჩევით სასწავლო კურსებში. აღნიშნული ცვლილებების საფუძველზე, რეკომენდაცია შესრულებულია.
რჩევა I	-
შეფასება	-
მტკიცებულებ(ები)ა	✓ საგანმანათლებლო სამაგისტრო პროგრამა ✓ კურიკულუმი ✓ სასწავლო კურსების სილაბუსები ✓ დადგენილება ცვლილებების შეტანის შესახებ ✓ აკადემიური საბჭოს სხდომის ოქმი

სტანდარტის დასახელება	2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა
კომპონენტის დასახელება	2.2 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება
რეკომენდაცია	-
შეფასება	-
რჩევა I	სასურველია და მნიშვნელოვნად სასარგებლო იქნება სასწავლო გეგმის პრაქტიკული კომპონენტის გაძლიერება
შეფასება	აკადემიის პოზიციით, რადგანაც მსმენელთა დიდი ნაწილი დასაქმებულია საჯარო სამსახურებში, სადაც მათ შეუძლიათ, მიღებული თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოიყენონ, პრაქტიკული კომპონენტის გაძლიერებას პროგრამა არ საჭიროებს. პრაქტიკული კომპონენტის ნაწილად მიჩნეულია მოწვეული სტუმრის პროექტი, როდესაც მსმენელებს საშუალება აქვთ, მაღალი რანგის პროფესიონალს შეხვდნენ.
მტკიცებულებ(ები)ა	

სტანდარტის დასახელება	3. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა
კომპონენტის დასახელება	4.1 ადამიანური რესურსი

რეკომენდაცია	-
შეფასება	-
რჩევა I	სასურველია, პროგრამის განხოციელებაში ჩაერთოს აკადემიური/მოწვეული პერსონალი, რომელსაც აქვს გამოცდილება სამხედრო დიპლომატიის მიმართულებით, რათა წვლილი შეიტანონ "საერთაშორისო ურთიერთობებისა და დიპლომატიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში.
შეფასება	საგანმანათლებლო სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი არის პოლკოვნიკი ირაკლი უჩაძე, რომელსაც აქვს სამხედრო დიპლომატიის მიმართულებით დიდი გამოცდილება. იგი ჩართულია სასწავლო კურსის "სამხედრო დიპლომატიის როლი სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკასა და უსაფრთხოებაში" განხორციელებაში. შესაბამისად, რჩევა გათვალისწინებულია.
მტკიცებულებ(ები)ა	✓ საგანამანათლებლო სამაგისტრო პროგრამა

ექსპერტის ხელმოწერა